დამტკიცებულია ევროპის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ

2019 წლის 3 იანვრის №1 ოქმი

განხორციელდა ცვლილებები ევროპის უნივერსიტეტის მმართველის საბჭოს მიერ

2020 წლის 17 მარტის №6 ოქმი,

2020 წლის 30 დეკემბერი №24 ოქმი;

2022 წლის 29 აგვისტოს №10 ოქმი;

2023 წლის 31 აგვისტოს № 11 ოქმი.

შპს ევროპის უნივერსიტეტის
2019 – 2025 წლების სტრატეგიის დოკუმენტი

დოკუმენტის შინაარსი

დოკუმენტის შესახებ 3

უნივერსიტეტის მისია 3

უნივერსიტეტის ხედვის განაცხადი 3

უნივერსიტეტის ღირებულებები 4

სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტები 5

1. უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება 6

2. უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება 6

3. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის ამაღლება, სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა 7

4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება 8

5. სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება 9

6. უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება 9

..... Error! Bookmark not defined.

დოკუმენტის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ევროპის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის მისიის და ხედვის შესაბამისად მომდევნო 7 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის მთლიანობაში და მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების განვითარების ძირითად პრიორიტეტებს.

უნივერსიტეტის მისია

ვროპის უნივერსიტეტი არის ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა:

- სტუდენტზე ორიენტირებული, ხარისხიანი უმაღლესი განათლების შეთავაზება;
- ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;
- სამეცნიერო/კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება;
- საქართველოში ცოდნის საზოგადოებასა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა და საკუთარი წვლილის შეტანა;
- კრიტიკული აზროვნების, ინოვაციური და აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებით, ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თვითრეალიზებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა;
- სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების უზრუნველყოფა, ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემისა და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა.

უნივერსიტეტის ხედვის განაცხადი

2025 წლისათვის ევროპის უნივერსიტეტი არის ღია აკადემიური სივრცე, რომელიც ავითარებს თანამედროვე, კარგად აღჭურვილ, კომფორტულ და ადაპტირებულ სასწავლო, სამეცნიერო და სამუშაო ინფრასტრუქტურას, ინარჩუნებს ფინანსურ მდგრადობას, იზიდავს და ეფექტიანად ინარჩუნებს მაღალკვალიფიციურ ადამიანურ რესურსებს, ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და თვითრეალიზებას, აგრეთვე ინტერნაციონალიზაციის პროცესში აქტიური ჩართულობით ახალისებს აკადემიურ და სტუდენტურ მობილობას. რისთვისაც:

- სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტი ხელს უწყობს დაინტერესებულ პირთა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლებას, ჩართულია

საზოგადოების განვითარებაზე მიმართულ საქმიანობებში, მუდმივად ზრუნავს საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტს გარეთა საზოგადოების კეთილდღეობაზე;

- უნივერსიტეტს გააჩნია ფართო სპექტრის აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო პროგრამები და უწყვეტად ავითარებს მათ;
- უნივერსიტეტში სწავლობენ როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ ხარისხიანი განათლების მისაღებად საჭირო უნარები და საკმარისი მოტივაცია;
- უნივერსიტეტს აქვს და წარმატებით ახორციელებს სტუდენტთა კონტინგენტის ეფექტურ სელექციას: სტუდენტების მოზიდვა ძირითადად ხორციელდება მიზანმიმართული პროექტებითა და პირდაპირი კომუნიკაციით, უნივერსიტეტის ბრენდის განვითარებასა და რეპუტაციის ამაღლებაზე უწყვეტი მუშაობითა და საიმედო პარტნიორებთან გრძელვადიანი თანამშრომლობით, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე;
- უნივერსიტეტი გამოირჩევა ინოვაციური/თანამედროვე ცოდნისა და სწავლების მეთოდებით და გამართული ხარისხის კონტროლის სისტემით;
- ხელს უწყობს კვლევით-სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებასა და ინტერნაციონალიზაციას;
- სარგებლობს კარგი რეპუტაციითა და სანდო ბრენდით.

უნივერსიტეტის ღირებულებები

- **ხარისხზე ორიენტირება** - სწავლა/სწავლების, სამეცნიერო და უნივერსიტეტის მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისას, აგრეთვე, საუნივერსიტეტო სერვისების მიწოდებისას მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.
- **მიზანსწრაფვა** - ევროპის უნივერსიტეტი მუდმივ განახლებაზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ისწრაფვის საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე თავის დასამკვიდრებლად.
- **ორიენტაცია მუდმივ განვითარებაზე** - უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს საუნივერსიტეტო საზოგადოების პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას. არსებული ალტერნატივებიდან ხდება ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება.
- **გუნდურობა** - უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტია, რომ ყველა დაინტერესებული მხარე ორიენტირებული იყოს საერთო მიზნის მიღწევაზე და თანაბრად გაიზიაროს უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ძირითადი მიზნები, ხედვები და ფასეულობები. უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ყველა პროცესში, თავისი კომპეტენციის, ინტერესისა და უფლება-მოვალეობის შესაბამისად, ჩართული იყოს უნივერსიტეტის პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

- **გამჭვირვალობა** - უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა პროცესთან მიმართებით, ორგანიზაცია იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს, რომელიც აისახება შესაბამის წესებში, პროცედურებსა და გადაწყვეტილებებში.
- **სამართლიანობა** - ევროპის უნივერსიტეტში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, ყველა დაინტერესებული მხარის უფლებებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, ეყრდნობა სამართლიან არგუმენტებს და გადაწყვეტილების მიღების ობიექტურ კრიტერიუმებს.
- **თანასწორობა და თანაბარი შესაძლებლობები** - უნივერსიტეტი ორიენტირებულია კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობაზე, რისთვისაც ავითარებს ისეთ საგანმანათლებლო სივრცეს, რომელშიც საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეული წევრი თავს გრძნობს სოციუმის სრულუფლებიან წარმომადგენლად, მიუხედავად მისი რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნისა.
- **მაღალი აკადემიური კულტურა** - უნივერსიტეტი მიესალმება და ყოველმხრივ ხელს უწყობს საუნივერსიტეტო გარემოში აკადემიური ეთიკის პრინციპების, კოლეგებს შორის ურთიერთპატივისცემის, მხარდაჭერისა და კოლეგიალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.
- **აკადემიური თავისუფლება** - აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა უფლება, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა.
- **სოციალური პასუხიმგებლობა** - უნივერსიტეტი ითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვაჯგუფის საჭიროებებს, სტუდენტებისა და თანამშრომლების აქტიური ჩართ ულობით, წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარებაში, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში.
- **თანამშრომლობა გარე აქტორებთან** - უნივერსიტეტი ღიაა თანამშრომლობისთვის ყვე ლა დაინტერესებულ მხარესთან და ავითარებს ურთიერთსასარგებლო კავშირებს, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტები

ევროპის უნივერსიტეტის მიერ მისი მისიის, დეკლარირებული ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში სტრატეგიულ პრიორიტეტად განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები:

1. უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება;
2. უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება;
3. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის ამაღლება, სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა;
4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება;

5. სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება;
6. უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება.

1. უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება

უნივერსიტეტის მდგრადი და სტაბილური განვითარებისთვის პრიორიტეტი ენიჭებსა ევროპის უნივერსიტეტის, როგორც სანდო და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბრენდის დამკვიდრებას ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ცალსახად მნიშვნელოვანია საინფორმაციო სივრცეში სწორად მოხდეს უნივერსიტეტის მიერ ბოლო პერიოდში მიღწეული წარმატების წარმოჩენა და ჩვენება, რომ ევროპის უნივერსიტეტს საკუთარი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებაში. ჩართულია საზოგადოებისთვის აქტუალური თემების განხილვაში, ასევე ზრუნავს არამხოლოდ საკუთარი სტუდენტების არამხოლოდ კონკურენტუნარიან პროფესიონალებად ჩამოყალიბებაზე, არამედ - მათი მაღალი სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური პრინციპების მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბებაზე.

ბრენდის სანდოობის ერთ-ერთ მსაზღვრელს წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სწავლისა და სწავლების მაღალი ხარისხი, ასევე მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა, რაც დამატებითი წინაპირობაა იმისა, რომ რაც შეიძლება მეტ პერსპექტიულ ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტს, აბიტურიენტსა და მეცნიერს გაუჩნდეს ევროპის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის სურვილი.

აღნიშნული სტრატეგიული მიმართულების მიზნების მისაღწევად ევროპის უნივერსიტეტი მიზანშეწონილად მოიაზრებს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

- უნივერსიტეტის ცნობადობისა და მის მიმართ ნდობის ამაღლება;
- უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება;
- ადგილობრივ აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვა;
- საერთაშორისო აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვა.

2. უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება

უნივერსიტეტის განვითარებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მიმართულებას წარმოადგენს სასწავლო პროგრამების სამივე საფეხურის განვითარება, რათა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეძლოს სრულფასოვანი ადგილის დამკვიდრება ქართულ აკადემიურ სივრცეში. იმისთვის, რომ უნივერსიტეტი პასუხობდეს თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცის მოთხოვნებსა და გამოწვევებს მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო პროგრამები ფარავდეს არამხოლოდ სწავლების

ყველა საფეხურს, არამედ ისიც, რომ განხორციელდეს მათი მუდმივი განვითარება. უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა თანამედროვე ქართულ და საერთაშორისო სტანდარტებთან, უზრუნველყოფილი იყოს პროგრამების სისტემატური განახლება და სრულფასოვანი ინტერნაციონალიზაცია. ევროპის უნივერსიტეტის აზრით, საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გაზიარება უნივერსიტეტის მდრადი განვითარების, ახალი ცოდნის დაგროვებისა და შექმნის ერთ-ერთი განმსაზღვრელი წინაპირობაა, რა მიზნითაც იგი მუდმივად ესწრაფვის ახალი გაცვლითი (როგორც აკადემიური, ისე სტუდენტური) პროგრამების დანერგვას. გარდა აღნიშნულისა, უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ არსებული, ან ახალი საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაში უნდა იყოს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან, სტუდენტების და აბიტურიენტების საჭიროებებთან. შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოცემული სტრატეგიული მიმართულებით მუშაობის პროცესში დამსაქმებლების, პროფესიული, აკადემიური და საექსპერტო წრეების, ასევე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სრულფასოვან ჩართულობას. შესაბამისად კი განსაზღვრულია შემდეგი მოკლევადიანი ამოცანები:

1. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უზრუნველყოფა;
2. არსებული საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა;
3. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და აკრედიტაცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია, უცხოენოვანი პროგრამების შემუშავება და დანერგვა.

3. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის ამაღლება, სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა

ევროპის უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, რომლის მიღწევაც შეუძლებელია სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განხორციელების ხარისხის ზრდის, ასევე სწავლების, სწავლის და შეფასების თანამედროვე მეთოდების იმპლემენტაციის გარეშე.

ევროპის უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროცესს მოიაზრებს, როგორც ცოცხალ, სინერგიულ პროცესს, შესაბამისად სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით ემხრობა კომპლექსურ მიდგომას, რაც გულისხმობს, როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალის პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებაზე სისტემატურ ზრუნვას, ასევე, სტუდენტთათვის შეთავაზებული სასწავლო პროცესების გამართული მიმდინარეობის, საგანმანათლებლო პროგრამებით დადგენილი შედეგების მიღწევის უზრუნველყოფას, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტით გამყარების შესაძლებლობის მიცემას, განვითარებისთვის აუცილებელი გარემოს შექმნას. მხოლოდ ამგვარი მიდგომით შეიძლება სასწავლო პროცესში მოხდეს სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების რეალური იმპლემენტაცია.

სასწავლო პროცესის ხარისხის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მსაზღვრელს წარმოადგენს აკადემიური ეთიკის და კეთილსინდისიერების პრინციპების განუხრელი დაცვა. აღნიშნულიდან გამომდინარე მოცემულ მიმართულებაზე მიზნის მიღწევის გზად განისაზღვრა შემდეგი ამოცანების შესრულება:

- სწავლა - სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების იმპლემენტაციის ხელშეწყობა;
- სამართლებრივი დახმარების ცენტრის საქმიანობის არეალის გაფართოება
- პრაქტიკული სწავლების ცენტრებისა და ლაბორატორების დაფუძნება და არსებულის განვითარება;
- გარე პრაქტიკის გაძლიერება;
- აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლება, დარღვევების გამოვლენა და პრევენციული მექანიზმების დანერგვა;
- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება.

4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება უნივერსიტეტის სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, იმდენად, რამდენადაც მხოლოდ ახალი ცოდის გენერირებითაა შესაძლებელი უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრულფასოვანი ფუნქციონირება. ამდენად, უნივერსიტეტის გრძელვადიანი სტრატეგია, ისევე როგორც აღნიშნულ სტრატეგიაზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმა ფოკუსირებულია უნივერსიტეტის წიაღში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებასა და საუკეთესო უცხოური, თუ ეროვნული კვლევითი პრაქტიკის იმპლემენტაციაზე, რაც გულისხმობს, როგორც უნივერსიტეტის კვლევითი ერთეულების ხელშეწყობასა და გაძლიერებას, ისე სხვადასხვა კვლევითი პროექტების ინიცირებას და ხელშეწყობას.

საუნივერსიტეტო კვლევებით საერთაშორისო პარტნიორების დაინტერესება და ადგილობრივი ახალგაზრდა პროფესიონალების მოზიდვა და მრავალმხრივი მხარდაჭერა აღქმულია, როგორც უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მდგრადობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად მიზანშეწონილია ფოკუსირება შემდეგ ამოცანებზე:

- უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების პერიოდული გადახედვა;
- სამართლის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია;
- მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია
- გლობალიზაციის, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია;
- კვლევითი საგრანტო პროექტების ინიცირებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა;

- კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის წახალისება და ხელშეწყობა;
- კვლევის შედეგების გაზიარება ფართო საზოგადოებისთვის.

5. სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება

ევროპის უნივერსიტეტის მისიის თანახმად, სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს. შესაბამისად სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაშიც უნივერსიტეტი სტუდენტთან ურთიერთობას უყურებს კომპლექსურად და არ განიხილავს სტუდენტურ გარემოს, მხოლოდ სტუდენტისთვის კომფორტული სასწავლო პირობების შექმნის კუთხით, არამედ მიიჩნევს რომ ჯანსაღი სტუდენტური გარემოს არსებობა, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს იმგვარი ატმოსფეროს შექმნას, რაც ხელს უწყობს სტუდენტის არამხოლოდ პროფესიულ ზრდას, არამედ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი პატივისცემის ჩამოყალიბებას.
მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტს არამხოლოდ ცალკეული საგანანათლებლო, კულტურული და სახელოვნებო ღონისძიებები, არამედ ზოგადად უნივერსიტეტში არსებული თავისუფალი, დისკრიმინაციის ყველა ფორმისგან თავისუფალი გარემო აძლევდეს აღნიშნული ღირებულების პრაქტიკაში გააზრების შესაძლებლობას.
სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია მაღალი ხარისხის საკონსულტაციო და კარიერული მხარდაჭერის სერვისების შეთავაზება, ხოლო სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სტუდენტთა ინტერესების შესაბამისი ექსტრაკურიკალური ღონისძიებების დაგეგმვა, რაც არამხოლოდ სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ჯანსაღი კომუნიკაციის განვითარებას, არამედ სტუდენტთა სოციალური, კულტურული, სპორტული და საზოგადოებრივი აქტიურობის ზრდას შეუწყობს ხელს.
აღნიშნული მიზნის მისაღწევად შემდეგი ამოცანები განისაზღვრა:

- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ელექტრონული სერვისების განვითარება;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მხარდაჭერა;
- ექსტრაკურიკულარული პროექტებისა და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და ლოიალობის ზრდა;
- სტუდენტური გუნდების განვითარების ხელშეწყობა და სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერა.

6. უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება

უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევის, ისევე როგორც უნივერსიტეტის მდგრადი და სტაბილური ზრდისა და განვითარების უზრუნველყოფის საკვანძო პირობაა

უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა, ადამიანური, მატერიალური/საინფორმაციო რესურსების განვითარება.

რამდენადაც უნივერსიტეტი არ არის სტატიკური ორგანიზმი, არამედ განიცდის მუდმივ განვითარებას, აუცილებელია უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა იყოს მოქნილი და შეესაბამებოდეს არსებულ გარემოს. თავის მხრივ აღნიშნული მოითხოვს სათანადო საინფორმაციო უზრუნველყოფას. შესაბამისად უნივერსიტეტი ზრუნავს ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რაც ქმნის საშუალებას, რომ უნივერსიტეტმა სისტემატურად აწარმოოს დაკვირვება ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეზე, შრომის ბაზარზე და ოპერატიულ რეჟიმში იღებდეს ინფორმაციას ახალი ტენდენციების, ინოვაციებისა და პროცესების შესახებ, რომელთაც შესაძლოა გავლენა იქონიოს უნივერსიტეტის განვითარებაზე.

მდგრადი განვითარების უმთავრესი წინაპირობაა არსებული ადამიანური პერსონალის შენარჩუნება და ზრუნვა მათი კვალიფიკაციის სისტემატურ ამაღლებაზე. თანამშრომელთა კმაყოფილებას გარდა ფინანსური დაინტერესებისა ასევე განსაზღვრავს პროფესიული ზრდის შესაძლებლობა. შესაბამისად უნივერსიტეტი არამხოლოდ აკადემიურ და მოწვეულ, არამედ ადმინისტრაციულ პერსონალსაც სთავაზობს პროფესიული ზრდის ხელშეწყობას, რაც დადებითად აისახება როგორც თანამშრომელთა განწყობაზე, ისე უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ეფექტურობის ამაღლებაზე.

მოცემულის პარალელურად უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს არსებული მატერიალური რესურსების რაოდენობრივ და ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე. მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუციის ორგანიზაციული ზრდა თანხვედრაში იყოს, არამხოლოდ ინტელექტუალურ, არამედ მატერიალურ შესაძლებლობასთან.

ამდენად, უნივერსიტეტი ამჯერადაც იყენებს კომპლექსურ მიდგომებს რესურსების მართვის მიმართულებით, რაც თავის მხრივ ითხოვს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების არსებობას, რადგან სწორედ აღნიშნული მექანიზმების ეფექტურ მუშაობაზეა საბოლოოდ დამოკიდებული უნივერსიტეტის მდგრადი განვითარების კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, უწყვეტი ავტორიზაცია. ამავე მიმართულების ქვეშ ერთიანდება უნივერსიტეტის მხრიდან მზაობის შემოწმება სტატუსის ცვლილების შესახებ. შესაბამისად, მოცემული მიმართულების მიზნების მისაღწევად განისაზღვრება შემდეგი ამოცანები.

- ორგანიზაციის მართვა;
- ადამიანური რესურსის (ადმინისტრაციული/აკადემიური/მოწვეული) მოზიდვა;
- ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- მატერილური რესურსების განვითარება;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსების განვითარება;
- უნივერსიტეტის ორგანიზაციული განვითარება

სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიმართულებებისა და ამოცანების შესასრულებლად უნივერსიტეტმა დადგენილი პროცედურების დაცვით შეიმუშავა სამწლიანი სამოქმედო გეგმა.

7. სამიზნე ნიშნულები

2025 წლისთვის მისაღწევი ევროპის უნივერსიტეტის სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია ამ დოკუმენტის *დანართი №1-ის* შესაბამისად.

დანართი №1

შპს ევროპის უნივერსიტეტის სამიზნე ნიშნულები 2025

1. ევროპის უნივერსიტეტი საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს, როგორც უნივერსიტეტი და ახორციელებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას;
2. ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის 80%-ზე მეტი კმაყოფილია და დადებითად აფასებს უნივერსიტეტის საქმიანობას;
3. ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების 65%-ზე მეტი დასაქმებულია პროფესიის მიხედვით;
4. ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების 80%-ზე მეტი კმაყოფილია და დადებითად აფასებს სასწავლო პროცესს;
5. აკადემიური პერსონალის სულ მცირე 60% აფილირებულია ევროპის უნივერსიტეტთან;
6. უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია;
7. ევროპის უნივერსიტეტი ახორციელებს სულ მცირე 2 ახალ უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამას;
8. უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების სულ მცირე 20% აქვს სახელმწიფო სასწავლო გრანტი;
9. ევროპის უნივერსიტეტიდან ადმინისტრაციული პერსონალის გადინების მაჩვენებელი არ აღემატება 10%.